2020 წ.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბილისი, 2020 წ.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით **შემოსულობების** წლიური გეგმა განსაზღვრულია 14,554.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო **გადასახდელების** გეგმა - 14,432.9 მლნ ლარის ოდენობით. მიმდინარე წლის იანვარში შემოსულობების შესრულება შეადგენს 1,182.6 მლნ ლარს (წლიური გეგმის 8.1%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 243.4 მლნ ლარით აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 1,058.9 მლნ ლარს (წლიური გეგმის 7.3%) და 148.8 მლნ ლარით აჭარბებს წინა წლის იანვრის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2020 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და იანვრის თვის შესრულების მაჩვენებლები.



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 1 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2012-2020 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** 3 თვის გეგმა განსაზღვრულია[1] 3,465.3 მლნ ლარით, ხოლო იანვრის შესრულება 34.1% შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, კარგი შესრულების დონით გამოირჩევა შემოსავლებისა (34.7%) და ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებლები (31.6%), ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობები - მნიშვნელოვანი გადახრით ხასიათდება. კერძოდ, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულია 3 თვის გეგმის მხოლოდ 1.8%, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებულმა შემოსულობებმა უკვე 21.5%-ით გადააჭარბა 3 თვის საგეგმო მაჩვენებელს.

სახელმწიფო ბიუჯეტის **გადასახდელების** 3 თვის გეგმა შეადგენს 3,463.7 მლნ ლარს, ხოლო იანვრის შესრულება - 3 თვის გეგმის 30.6%-ს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 31.7%-ს უტოლდება. ასევე, კარგი შესრულების დონით გამოირჩევა ვალდებულებების კლების მაჩვენებელი (38.5%), ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლების შესრულების მაჩვენებლები - შედარებით დაბალ დონეზეა. კერძოდ, არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება 3 თვის გეგმის 22%-ს შეადგენს, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება - 7.7%-ს.

[1] „საქართველოს 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №428 ბრძანება

დასახელება	2020 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	1 თვის შესრულება	1 თვე / 3 თვის გეგმა	დასახელება	2020 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	1 თვის შესრულება	1 თვე / 3 თვის გეგმა
შემოსულობები	**14,554.2**	**3,465.3**	**1,182.6**	**34.1%**	**გადასახდელები**	**14,432.9**	**3,463.7**	**1,058.9**	**30.6%**
შემოსავლები	11,226.9	2,620.8	909.0	34.7%	ხარჯები	10,846.5	2,712.0	859.0	31.7%
არაფინანსური აქტივების კლება	130.0	23.0	0.4	1.8%	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,221.4	424.7	93.3	22.0%
ფინანსური აქტივების კლება	130.0	15.5	18.8	121.5%	ფინანსური აქტივების ზრდა	342.2	62.1	4.8	7.7%
ვალდებულებების ზრდა	3,067.3	806.0	254.4	31.6%	ვალდებულებების კლება	1,022.7	264.8	101.8	38.5%

ცხრილი 1: 2020 წლის 1 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდომ**[2] იანვარში შეადგინა 50.0 მლნ ლარი, ხოლო **მთლიანმა სალდომ**[3] - (-42.9) მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საოპერაციო და მთლიანი სალდოს დინამიკა 2018-2020 წლებში თვეების მიხედვით.



დიაგრამა 2: საოპერაციო და მთლიანი სალდოს დინამიკა 2018-2020 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება **ნაშთის ცვლილებას**, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 443.7 მლნ ლარი. იანვარში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 123.7 მლნ ლარი შეადგინა და 2020 წლის 1 თებერვლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 567.4 მლნ ლარის ოდენობით.

[2] საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.

[3] მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2020 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულების მაჩვენებელმა 1,182.6 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 76.9%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2018-2019 წლებთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით შემცირებულია, რაც დაკავშირებულია გრანტების სახით მიღებული შემოსავლებთან. ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელი კი მკვეთრად გაზრდილია და მთლიანი შემოსულობების 21.5%-ს შეადგენს. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებულ შემოსულობებს, მთლიან შემოსულობებში მათი ჯამური წილი უმნიშვნელოა (1.6%).



დიაგრამა 3: 2018-2020 წწ. 1 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსავლების სახით იანვარში მიღებულია 909 მლნ ლარი, კვარტალური გეგმის 34.7% და წლიური გეგმის[4] 8.1%, თუმცა წინა წლის მაჩვენებელს 64.6 მლნ ლარით (6.6%-ით) ჩამორჩება.

რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, როგორც 3 თვის, ისე წლიური გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით გამოირჩევა გადასახადები და სხვა შემოსავლები, ხოლო გრანტები შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

იანვარში მიღებული **საგადასახადო შემოსავლები** 869.7 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 34.6%-ს და წლიური გეგმის 8.3%-ს შეადგენს, რაც უკავშირდება საშემოსავლო გადასახადისა (3 თვის გეგმის 47.2%) და დღგ-ს (3 თვის გეგმის 37.3%) მობილიზების მაღალ მაჩვენებლებს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 61.2 მლნ ლარით (7.6%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება განპირობებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადების, შესაბამისად 15.1%-იანი და 49.6%-იანი ზრდით. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარში დღგ-ს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 340.4 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 70.5 მლნ ლარით ნაკლები, რაც დაკავშირებულია იმპორტირებული პროდუქციიდან დღგ-ს 9.5%-იან (20.9 მლნ ლარი) და საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან 26%-იან (49.7 მლნ ლარით) შემცირებასთან. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად (90.8 მლნ ლარით) შემცირებულია, ასევე, აქციზის სახით მიღებული შემოსავალიც, რაც ძირითადად გამოწვეულია იმპორტირებული პროდუქციიდან, კერძოდ, იმპორტული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლების (61.9 მლნ ლარით) 86.4%-იანი კლებით.



დიაგრამა 4: 2019-2020 წწ. 1 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

[4] წლიური გეგმა წარმოადგენს „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებულ გეგმას

გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (3.8 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა, რაც 3 თვის გეგმის 15.5%-ს და წლიური გეგმის 1.6%-ს წარმოადგენს. ბიუჯეტში მიღებულია საინვესტიციო გრანტები 1 მლნ ლარის ოდენობით და აგრეთვე, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი - 37.7 ათასი ლარი. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 2.7 მლნ ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლების სახით იანვარში ბიუჯეტში მობილიზებულია 35.5 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 42.4% და წლიური გეგმის 6.8%, ძირითადი შემოსავალი მიღებულია საკუთრებიდან (კერძოდ, პროცენტი და რენტა), საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები) და ტრანსფერებიდან, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული.

რაც შეეხება შემოსულობების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები (0.4 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა, რაც 3 თვის გეგმის 1.8%-ს და წლიური გეგმის 0.3%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით მიღებული შემოსულობების დიდი წილი მოდის ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობებზე.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების სახით იანვარში უკვე მიღებულია 18.8 მლნ ლარი, 3 თვის გეგმაზე 21.5%-ით მეტი (წლიური გეგმის 14.5%), რაც ძირითადად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები მობილიზების კარგი მაჩვენებლით ხასიათდება: იანვარში ბიუჯეტში ჩაირიცხა 254.4 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 31.6% (წლიური გეგმის 8.3%), რაც ძირითადად დაკავშირებულია საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულ თანხებთან, კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით იანვარში ბიუჯეტში ჩარიცხულია 3 თვის საგეგმო მაჩვენებელზე 2.9 მლნ ლარით მეტი (192.9 მლნ ლარი). საინვესტიციო კრედიტების სახით იანვარში შემოსულია 3 თვის გეგმური სიდიდის 8.6% (22 მლნ ლარი).

	1 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების ზრდა	**254.4**	**31.6%**	**8.3%**
საგარეო	214.9	48.2%	11.5%
საბიუჯეტო კრედიტები	192.9	101.5%	28.2%
საინვესტიციო კრედიტები	22.0	8.6%	1.9%
საშინაო	39.5	11.0%	3.3%

ცხრილი 2 : 2020 წლის 1 თვეში ვალდებულების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს (შემოსულობა საშინაო ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა), სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 39.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის მაჩვენებლის 11%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2020 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის **გადასახდელების** შესრულების მაჩვენებელმა 1,058.9 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 81.1%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2018-2019 წლებთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად გაზრდილია, ასევე, მნიშვნელოვნად გაზრდილია ვალდებულებების კლების მუხლის მაჩვენებელი და მთლიანი შემოსულობების 9.6%-ს შეადგენს. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებს, ორივე შემთხვევაში ზემოაღნიშნული კომპონენტების შესრულების მაჩვენებლები 2018-2019 წლებთან შედარებით შემცირებულია და მთლიან გადასახდელებში მათი წილი ნაწილდება შესაბამისად 8.8%-ის და 0.4%-ის ოდენობებით.



დიაგრამა 5: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2018-2020 წლების იანვრის თვეებში (მლნ ლარი)

ხარჯების შესრულებამ იანვარში შეადგინა 859 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 31.7% და წლიური გეგმის 7.9%, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 137.1 მლნ ლარით (19%) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან, გარდა შრომის ანაზღაურების მუხლისა (-0.3 მლნ ლარი). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის ძირითადი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის მუხლზე (72.2 მლნ ლარი). 3 თვის გეგმასთან მიმართებაში მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის მუხლის შესრულება (102 მლნ ლარი) – 58%, საიდანაც საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 66.8 მლნ ლარი, ხოლო საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე - 35.2 მლნ ლარი. შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა შრომის ანაზღაურების მუხლი (3 თვის გეგმის 31%), გრანტების მუხლი (3 თვის გეგმის 30.8%) და სოციალური უზრუნველყოფის მუხლი (3 თვის გეგმის 33.4%). სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (372.7 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (249.3 მლნ ლარი), მოსახლების ჯანმრთელობის დაცვასა (89.6 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (30 მლნ ლარი). რაც შეეხება საქონელი და მომსახურების, სუბსიდიებისა და სხვა ხარჯების მუხლებს, 3 თვის გეგმასთან მიმართებით, აღნიშნული კომპონენტების შესრულება შედარებით დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა, შესაბამისად 23.7%, 24.8% და 26.1%.



დიაგრამა 9: 2019-2020 წწ. 1 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (93.3 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა, რაც 3 თვის გეგმის 22.0%-ს და წლიური გეგმის 4.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებსა (40.9 მლნ ლარი) და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (17 მლნ ლარი).

შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა, ასევე, **ფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის მაჩვენებელი (4.8 მლნ ლარი), რაც 3 თვის გეგმის 7.7%-ს და წლიური გეგმის 1.4%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები სრულად მოდის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამის – „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)“ – ფარგლებში გაცემულ სესხებზე.

ვალდებულებების კლების მუხლის მაჩვენებელი (101.8 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა, როგორც 3 თვის, ისე წლიურ გეგმებთან მიმართებით, შესაბამისად შეადგენს 38.5%-ს და 10%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი მოდის საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე 99.7 მლნ ლარის ოდენობით.

	1 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	**101.8**	**38.5%**	**10.0%**
საგარეო	99.7	39.1%	10.2%
საშინაო	2.1	21.3%	4.8%

ცხრილი 3: ვალდებულების კლების მუხლის შესრულება 2020 წლის 1 თვეში (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული **საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების** შესრულებას, იანვარში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 201.7 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 46.2% და წლიური გეგმის 11.4%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 6.7 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 39.7% და წლიური გეგმის 5.1%), საიდანაც 4.1 მლნ ლარი წარმოადგენს სპეციალურ ტრანსფერს, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 1 მლნ ლარს, ხოლო დარჩენილი 1.6 მლნ ლარი კი კაპიტალურ ტრანსფერს, რომლიც დაფინანსებაც მოხდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, იანვარში, ზემოდასახელებული ფონდიდან სხვა მიზნით არ მომხდარა საბიუჯეტო სახსრების ათვისება. გარდა ამისა, იანვარში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 30 მლნ ლარი.

იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ **ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის**[5] მიხედვით შეადგინა 952.3 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 30.4% და წლიური გეგმის 7.3%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში:



დიაგრამა 10: 2020 წლის 1 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი)

[5] საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2018 წელი 1 თვე შესრულება	2019 წელი 1 თვე შესრულება	2020 წელი წლიური გეგმა	2020 წელი 3 თვე გეგმა*	2020 წელი 1 თვე შესრულება	2020 წ. 1 თვის შესრულება / 2020 წ. 3 თვის გეგმა		2020 წ. 1 თვის შესრულება / 2019 წ. 1 თვის შესრულება		2020 წ. 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსულობები	**1,103.9**	**939.2**	**14,554.2**	**3,465.3**	**1,182.6**	**-2,282.7**	**34.1%**	**243.4**	**25.9%**	**8.1%**
შემოსავლები	**966.5**	**973.6**	**11,226.9**	**2,620.8**	**909.0**	**-1,711.8**	**34.7%**	**-64.6**	**-6.6%**	**8.1%**
გადასახადები	800.8	808.5	10,465.0	2,512.9	869.7	-1,643.2	34.6%	61.2	7.6%	8.3%
საშემოსავლო გადასახადი	310.9	333.1	3,415.0	812.0	383.4	-428.6	47.2%	50.3	15.1%	11.2%
მოგების გადასახადი	38.8	62.1	970.0	342.0	92.9	-249.1	27.2%	30.8	49.6%	9.6%
დღგ	442.4	410.9	4,398.3	912.1	340.4	-571.7	37.3%	-70.6	-17.2%	7.7%
აქციზი	148.0	159.4	1,400.0	236.3	68.6	-167.7	29.0%	-90.8	-57.0%	4.9%
იმპორტის გადასახადი	7.5	5.5	80.0	18.5	5.8	-12.7	31.4%	0.3	5.3%	7.3%
სხვა გადასახადები	-146.8	-162.5	201.7	192.0	-21.3	-213.3	-11.1%	141.2	-86.9%	-10.6%
გრანტები	144.3	135.1	241.9	24.2	3.8	-20.4	15.5%	-131.3	-97.2%	1.6%
სხვა შემოსავლები	21.4	30.0	520.0	83.8	35.5	-48.2	42.4%	5.6	18.6%	6.8%
არაფინანსური აქტივების კლება	**0.4**	**1.8**	**130.0**	**23.0**	**0.4**	-22.6	**1.8%**	**-1.3**	**-76.1%**	**0.3%**
ფინანსური აქტივების კლება	**1.3**	**2.8**	**130.0**	**15.5**	**18.8**	3.3	**121.5%**	**16.0**	**564.6%**	**14.5%**
ვალდებულებების ზრდა	**135.8**	**-38.9**	**3,067.3**	**806.0**	**254.4**	-551.6	**31.6%**	**293.3**	**-753.1%**	**8.3%**
საგარეო	195.1	7.6	1,867.3	446.0	214.9	-231.1	48.2%	207.2	2716.5%	11.5%
საშინაო	-59.3	-46.6	1,200.0	360.0	39.5	-320.5	11.0%	86.1	-184.8%	3.3%
გადასახდელები	**870.8**	**910.1**	**14,432.9**	**3,463.7**	**1,058.9**	**-2,404.8**	**30.6%**	**148.8**	**16.3%**	**7.3%**
ხარჯები	**681.9**	**721.9**	**10,846.5**	**2,712.0**	**859.0**	**-1,853.1**	**31.7%**	**137.0**	**19.0%**	**7.9%**
შრომის ანაზღაურება	105.6	118.9	1,576.0	382.9	118.6	-264.3	31.0%	-0.4	-0.3%	7.5%
საქონელი და მომსახურება	72.5	69.6	1,373.7	347.0	82.1	-264.9	23.7%	12.5	18.0%	6.0%
პროცენტი	63.3	90.1	751.0	176.0	102.0	-74.0	58.0%	11.9	13.2%	13.6%
სუბსიდიები	22.5	18.5	516.5	174.5	43.2	-131.2	24.8%	24.7	133.4%	8.4%
გრანტები	74.9	24.2	726.1	122.8	37.8	-85.0	30.8%	13.6	56.3%	5.2%
სოციალური უზრუნველყოფა	266.8	300.5	4,294.8	1,115.3	372.7	-742.6	33.4%	72.1	24.0%	8.7%
სხვა ხარჯები	76.1	100.0	1,608.5	393.6	102.5	-291.0	26.1%	2.5	2.5%	6.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**125.3**	**113.3**	**2,221.4**	**424.7**	**93.3**	**-331.4**	**22.0%**	**-20.0**	**-17.6%**	**4.2%**
ფინანსური აქტივების ზრდა	**6.9**	**5.4**	**342.2**	**62.1**	**4.8**	**-57.4**	**7.7%**	**-0.7**	**-12.5%**	**1.4%**
ვალდებულებების კლება	**56.7**	**69.4**	**1,022.7**	**264.8**	**101.8**	**-163.0**	**38.5%**	**32.4**	**46.7%**	**10.0%**
საგარეო	56.6	69.4	978.7	254.8	99.7	-155.1	39.1%	30.3	43.7%	10.2%
საშინაო	0.1	0.1	44.0	10.0	2.1	-7.9	21.3%	2.1	3879.7%	4.8%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**233.1**	**29.1**	**121.3**	**1.6**	**123.7**	**122.2**		**94.6**		

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2020 წლის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №428 ბრძანება)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2018 წელი 1 თვე შესრულება	2019 წელი 1 თვე შესრულება	2020 წელი წლიური გეგმა	2020 წელი 3 თვე გეგმა	2020 წელი 1 თვე შესრულება	2020 წ. 1 თვის შესრულება / 2020 წ. 3 თვის გეგმა		2020 წ. 1 თვის შესრულება / 2019 წ. 1 თვის შესრულება	
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	**966.5**	**973.6**	**11,226.9**	**2,620.8**	**909.0**	**-1,711.8**	**34.7%**	**-64.6**	**-6.6%**
გადასახადები	800.8	808.5	10,465.0	2,512.9	869.7	-1,643.2	34.6%	61.2	7.6%
გრანტები	144.3	135.1	241.9	24.2	3.8	-20.4	15.5%	-131.3	-97.2%
სხვა შემოსავლები	21.4	30.0	520.0	83.8	35.5	-48.2	42.4%	5.6	18.6%
ხარჯები	**681.9**	**721.9**	**10,846.5**	**2,712.0**	**859.0**	**-1,853.1**	**31.7%**	**137.0**	**19.0%**
შრომის ანაზღაურება	105.6	118.9	1,576.0	382.9	118.6	-264.3	31.0%	-0.4	-0.3%
საქონელი და მომსახურება	72.5	69.6	1,373.7	347.0	82.1	-264.9	23.7%	12.5	18.0%
პროცენტი	63.3	90.1	751.0	176.0	102.0	-74.0	58.0%	11.9	13.2%
სუბსიდიები	22.5	18.5	516.5	174.5	43.2	-131.2	24.8%	24.7	133.4%
გრანტები	74.9	24.2	726.1	122.8	37.8	-85.0	30.8%	13.6	56.3%
სოციალური უზრუნველყოფა	266.8	300.5	4,294.8	1,115.3	372.7	-742.6	33.4%	72.1	24.0%
სხვა ხარჯები	76.1	100.0	1,608.5	393.6	102.5	-291.0	26.1%	2.5	2.5%
საოპერაციო სალდო	**284.6**	**251.6**	**380.4**	**-91.2**	**50.0**	**141.2**	**-54.8%**	**-201.6**	**-80.1%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**124.9**	**111.5**	**2,091.4**	**401.7**	**92.9**	**-308.8**	**23.1%**	**-18.6**	**-16.7%**
ზრდა	125.3	113.3	2,221.4	424.7	93.3	-331.4	22.0%	-20.0	-17.6%
კლება	0.4	1.8	130.0	23.0	0.4	-22.6	1.8%	-1.3	-76.1%
მთლიანი სალდო	**159.6**	**140.1**	**-1,711.0**	**-492.9**	**-42.9**	**450.1**	**8.7%**	**-183.0**	**-130.6%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**238.7**	**31.7**	**333.6**	**48.2**	**109.6**	**61.4**	**227.4%**	**77.9**	**245.8%**
ზრდა	**240.0**	**34.5**	**463.6**	**63.7**	**128.5**	**64.8**	**201.7%**	**93.9**	**272.0%**
ვალუტა და დეპოზიტები	233.1	29.1	121.3	1.6	123.7	122.2	7902.1%	94.6	325.2%
სესხები	6.3	5.4	342.2	62.1	4.8	-57.4	7.7%	-0.7	-12.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.6	0.0		0.0	0.0	0.0		0.0	
კლება	**1.3**	**2.8**	**130.0**	**15.5**	**18.8**	**3.3**	**121.5%**	**16.0**	**564.6%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		0.0	
სესხები	1.3	2.8	130.0	15.5	18.8	3.3	121.5%	16.0	564.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0	
ვალდებულებების ცვლილება	**79.1**	**-108.4**	**2,044.6**	**541.1**	**152.5**	**-388.6**	**28.2%**	**260.9**	**-240.8%**
ზრდა	**135.8**	**-38.9**	**3,067.3**	**806.0**	**254.4**	**-551.6**	**31.6%**	**293.3**	**-753.1%**
საშინაო	-59.3	-46.6	1,200.0	360.0	39.5	-320.5	11.0%	86.1	-184.8%
საგარეო	195.1	7.6	1,867.3	446.0	214.9	-231.1	48.2%	207.2	2716.5%
კლება	**56.7**	**69.4**	**1,022.7**	**264.8**	**101.8**	**-163.0**	**38.5%**	**32.4**	**46.7%**
საშინაო	0.1	0.1	44.0	10.0	2.1	-7.9	21.3%	2.1	3879.7%
საგარეო	56.6	69.4	978.7	254.8	99.7	-155.1	39.1%	30.3	43.7%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		**0.0**	

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების/საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით (მლნ ლარი)

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2020 წ. წლიური გეგმა	3 თვის გეგმა	2020 წ. 1 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებით
00 00	ჯამური	14,432.87	3,463.70	1,058.89	7.3%	30.6%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	64.74	15.66	4.42	6.8%	28.2%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	7.00	2.33	0.57	8.2%	24.7%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.70	0.18	0.05	7.7%	30.1%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16.50	4.32	1.43	8.7%	33.2%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	16.46	4.76	1.06	6.4%	22.3%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	72.57	8.41	2.36	3.3%	28.1%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4.25	1.09	0.27	6.5%	25.2%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	12.00	2.98	0.65	5.4%	21.9%
09 00	საერთო სასამართლოები	84.38	18.56	4.44	5.3%	23.9%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6.62	1.64	0.35	5.3%	21.4%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	0.89	0.23	0.07	7.3%	28.8%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0.68	0.16	0.04	6.5%	27.6%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ქიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	0.79	0.21	0.07	8.4%	31.5%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	0.76	0.19	0.05	7.1%	28.9%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0.65	0.17	0.05	7.2%	28.3%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0.64	0.18	0.05	7.3%	26.7%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	0.65	0.17	0.05	7.6%	30.0%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	0.88	0.24	0.06	6.5%	24.0%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	0.66	0.17	0.05	7.5%	28.5%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	137.50	37.21	10.35	7.5%	27.8%
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	5.00	1.38	0.25	5.0%	18.2%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2.95	0.86	0.13	4.4%	14.9%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	93.00	26.70	3.53	3.8%	13.2%

24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	364.00	117.63	6.06	1.7%	5.2%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2,071.60	408.08	89.56	4.3%	21.9%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	224.00	58.65	15.41	6.9%	26.3%
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	4,363.00	1,129.26	360.98	8.3%	32.0%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	159.00	47.03	20.54	12.9%	43.7%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	880.00	216.71	51.10	5.8%	23.6%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	770.00	182.35	59.74	7.8%	32.8%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	353.00	76.95	15.13	4.3%	19.7%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,666.55	428.52	131.04	7.9%	30.6%
33 00	საქართველოს პროკურატურა	41.30	9.10	2.36	5.7%	25.9%
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13.50	4.00	1.06	7.9%	26.6%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1.60	0.40	0.12	7.3%	29.1%
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	6.80	2.11	0.47	7.0%	22.4%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	8.30	2.14	0.38	4.5%	17.6%
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2.15	0.56	0.13	6.1%	23.6%
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	0.26	0.07	0.02	8.7%	34.3%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	58.50	15.40	4.05	6.9%	26.3%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	8.00	2.29	0.62	7.8%	27.2%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	68.70	23.32	23.34	34.0%	100.1%
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	2.20	0.58	0.16	7.3%	27.4%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2.46	0.69	0.20	8.3%	29.6%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25.00	8.13	4.32	17.3%	53.1%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	7.00	1.40	0.23	3.3%	16.5%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	10.58	2.63	0.53	5.0%	20.0%
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4.25	1.10	0.33	7.9%	30.5%
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1.53	0.40	0.09	5.9%	22.3%
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5.33	1.46	1.20	22.5%	82.1%
51 00	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	8.00	2.25	0.38	4.8%	17.0%
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	0.50	0.13	0.04	7.3%	29.0%
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	0.50	0.14	0.02	3.9%	14.3%
54 00	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	5.00	0.89	0.16	3.3%	18.4%
55 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	3.20	0.88	0.13	4.0%	14.6%
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,766.80	590.70	238.50	8.6%	40.4%
58 00	სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი			0.12		

დანართი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამების/საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით (მლნ ლარი)

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2020 წ. წლიური გეგმა	3 თვის გეგმა	2020 წ. 1 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებით
00 00	ჯამური	14,432.87	3,463.70	1,058.89	7.3%	30.6%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	53.70	12.82	3.74	7.0%	29.2%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	9.59	2.40	0.60	6.3%	25.0%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.45	0.15	0.03	6.5%	19.1%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.00	0.28	0.05	5.3%	18.8%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	7.00	2.33	0.57	8.2%	24.7%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.70	0.18	0.05	7.7%	30.1%
04 01	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16.50	4.32	1.43	8.7%	33.2%
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	16.17	4.69	1.03	6.4%	22.0%
05 02	საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა	0.29	0.07	0.03	9.5%	37.3%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	14.08	3.76	0.91	6.5%	24.2%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.42	0.42	0.06	4.1%	14.0%
06 03	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	14.31	3.58	1.39	9.7%	38.9%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	42.76	0.65	0.00	0.0%	0.3%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4.25	1.09	0.27	6.5%	25.2%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	12.00	2.98	0.65	5.4%	21.9%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	82.51	18.04	4.31	5.2%	23.9%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1.87	0.52	0.12	6.7%	24.2%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6.62	1.64	0.35	5.3%	21.4%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	0.89	0.23	0.07	7.3%	28.8%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0.68	0.16	0.04	6.5%	27.6%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ქიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	0.79	0.21	0.07	8.4%	31.5%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	0.76	0.19	0.05	7.1%	28.9%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0.65	0.17	0.05	7.2%	28.3%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0.64	0.18	0.05	7.3%	26.7%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	0.65	0.17	0.05	7.6%	30.0%

18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	0.88	0.24	0.06	6.5%	24.0%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	0.66	0.17	0.05	7.5%	28.5%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	119.30	31.53	7.95	6.7%	25.2%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	18.20	5.68	2.41	13.2%	42.4%
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	5.00	1.38	0.25	5.0%	18.2%
22 01	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1.95	0.61	0.13	6.6%	21.0%
22 02	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განსახორციელებელი პროგრამები	1.00	0.25	0.00	0.0%	0.0%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	20.75	5.06	1.10	5.3%	21.8%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	40.80	13.81	0.27	0.7%	1.9%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	21.49	5.53	1.69	7.9%	30.6%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	7.90	1.58	0.31	3.9%	19.6%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	0.94	0.42	0.07	7.9%	17.8%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	1.14	0.31	0.08	7.3%	27.1%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	15.86	3.70	0.97	6.1%	26.2%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	1.60	0.39	0.11	6.9%	28.2%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	0.98	0.41	0.09	9.0%	21.4%
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	0.14	0.04	0.04	25.0%	100.0%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	31.68	6.98	1.17	3.7%	16.7%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	91.11	79.98	0.49	0.5%	0.6%
24 07	მეწარმეობის განვითარება	57.55	8.14	2.38	4.1%	29.2%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	3.68	0.94	0.18	5.0%	19.4%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	0.58	0.15	0.04	7.3%	27.8%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	8.00	1.60	0.01	0.1%	0.4%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	8.00	4.00	0.00	0.0%	0.0%
24 12	საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD)	20.00	4.00	0.43	2.2%	10.9%
24 13	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)	15.00	4.50	0.00	0.0%	0.0%
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	41.50	2.20	0.00	0.0%	0.0%
24 15	მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	62.80	0.10	0.00	0.0%	0.0%
24 16	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	0.40	0.15	0.13	32.1%	85.5%
24 17	ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია	0.20	0.08	0.00	0.0%	0.0%
24 18	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	3.73	0.00	0.00	0.0%	

24 19	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	1.20	0.26	0.03	2.4%	11.1%
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	9.20	1.93	0.44	4.7%	22.6%
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	1,315.25	288.30	43.69	3.3%	15.2%
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	262.13	33.10	17.31	6.6%	52.3%
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	256.80	56.50	21.67	8.4%	38.4%
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	24.22	8.40	0.00	0.0%	0.0%
25 06	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	55.00	5.00	1.58	2.9%	31.6%
25 07	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	149.00	14.85	4.87	3.3%	32.8%
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	22.84	12.81	5.22	22.8%	40.7%
26 02	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	157.25	35.30	8.78	5.6%	24.9%
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	5.90	1.47	0.47	8.0%	31.9%
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება	2.80	0.66	0.12	4.4%	18.7%
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	2.53	1.14	0.16	6.2%	13.7%
26 06	დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია	6.69	1.74	0.45	6.7%	25.7%
26 07	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	7.62	2.73	0.18	2.3%	6.5%
26 08	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	4.40	1.30	0.00	0.0%	0.0%
26 09	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	14.00	1.50	0.01	0.1%	0.9%
26 11	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა			0.03		
27 01	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	60.24	14.50	3.98	6.6%	27.4%
27 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	3,126.00	759.16	250.10	8.0%	32.9%
27 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	1,078.63	330.18	97.92	9.1%	29.7%
27 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	25.00	12.30	6.36	25.4%	51.7%
27 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	6.00	1.03	0.67	11.1%	64.9%
27 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა	67.14	12.08	1.95	2.9%	16.1%
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	158.15	46.83	20.48	13.0%	43.7%
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	0.85	0.20	0.06	7.2%	30.9%
29 01	თავდაცვის მართვა	327.26	83.00	28.10	8.6%	33.9%
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	51.62	12.82	4.10	7.9%	32.0%
29 03	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	58.38	17.06	2.60	4.4%	15.2%
29 04	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	9.80	6.03	0.28	2.9%	4.7%
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	100.00	20.00	0.02	0.0%	0.1%
29 06	საერთაშორისო სამშვიდობო მისიები	41.85	13.70	3.10	7.4%	22.6%
29 07	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	33.53	10.20	2.61	7.8%	25.6%

29 08	თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება	51.60	4.75	0.00	0.0%	0.0%
29 09	ლოჯისტიკური უზრუნველყოფა	170.96	49.15	10.29	6.0%	20.9%
29 10	საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	35.00	0.00	0.00	0.0%	
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	584.83	136.78	46.76	8.0%	34.2%
30 02	სახელმწიფო საზღვრის დაცვა	90.90	22.47	6.23	6.9%	27.7%
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება	10.66	2.49	0.64	6.0%	25.9%
30 04	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	6.87	1.53	0.40	5.8%	26.1%
30 05	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4.12	0.99	0.24	5.9%	24.4%
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	72.61	18.10	5.47	7.5%	30.2%
31 01	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	14.02	3.62	0.68	4.9%	18.9%
31 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	36.60	6.90	0.76	2.1%	11.0%
31 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	12.70	1.65	0.21	1.6%	12.6%
31 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	7.05	1.92	0.18	2.6%	9.6%
31 05	ერთიანი აგროპროექტი	142.50	32.81	10.70	7.5%	32.6%
31 06	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია	75.70	14.38	0.09	0.1%	0.6%
31 07	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	20.34	4.54	0.99	4.9%	21.7%
31 08	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	13.02	3.30	0.21	1.6%	6.3%
31 09	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	13.78	3.14	0.77	5.6%	24.7%
31 10	ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	1.70	0.79	0.06	3.4%	7.2%
31 11	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის და განათლება მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობის პროგრამა	4.87	1.08	0.09	1.9%	8.5%
31 12	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა	1.05	0.27	0.06	6.1%	23.5%
31 13	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	2.60	0.72	0.01	0.5%	1.7%
31 14	კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	4.72	1.24	0.26	5.6%	21.3%
31 15	მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა	2.36	0.60	0.05	2.2%	8.7%
32 01	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	35.42	8.92	2.75	7.8%	30.8%
32 02	სკოლამდელი და ზოგადი განათლება	927.30	215.51	75.92	8.2%	35.2%
32 03	პროფესიული განათლება	52.85	10.75	1.08	2.0%	10.1%
32 04	უმაღლესი განათლება	145.02	27.89	21.71	15.0%	77.9%
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	65.54	25.43	5.27	8.0%	20.7%
32 06	ინკლუზიური განათლება	20.53	5.43	1.71	8.3%	31.5%
32 07	ინფრასტრუქტურის განვითარება	136.80	15.34	4.52	3.3%	29.4%
32 08	სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა	6.78	1.73	0.45	6.7%	26.2%

32 09	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	88.70	39.60	7.37	8.3%	18.6%
32 10	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	25.40	3.97	1.00	3.9%	25.3%
32 11	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	130.40	68.61	7.54	5.8%	11.0%
32 12	კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები	21.12	4.53	1.71	8.1%	37.6%
32 13	ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)	5.00	0.20	0.00	0.0%	0.0%
32 14	პროფესიული განათლება I (KfW)	3.70	0.10	0.00	0.1%	4.0%
32 15	გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამა (IBRD)	2.00	0.50	0.00	0.0%	0.0%
33 01	საქართველოს გენერალური პროკურატურა	39.37	8.61	2.25	5.7%	26.1%
33 02	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა	1.93	0.49	0.11	5.9%	23.1%
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13.50	4.00	1.06	7.9%	26.6%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1.60	0.40	0.12	7.3%	29.1%
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	6.80	2.11	0.47	7.0%	22.4%
37 01	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7.80	1.90	0.30	3.8%	15.7%
37 02	ა(ა)იპ - სპორტული კლუბი „არმია“	0.50	0.24	0.08	15.5%	32.7%
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2.15	0.56	0.13	6.1%	23.6%
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	0.26	0.07	0.02	8.7%	34.3%
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	50.50	13.00	3.86	7.6%	29.7%
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	8.00	2.40	0.20	2.5%	8.2%
41 01	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი)	8.00	2.29	0.62	7.8%	27.2%
42 01	მაუწყებლობის ხელშეწყობა	68.70	23.32	23.34	34.0%	100.1%
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	2.20	0.58	0.16	7.3%	27.4%
44 01	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2.12	0.59	0.17	8.1%	29.5%
44 02	ა(ა)იპ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "ნართები"	0.34	0.10	0.03	8.9%	30.3%
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	14.74	4.40	1.44	9.7%	32.6%
45 02	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	0.65	0.21	0.15	24.0%	75.5%
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1.77	0.61	0.25	14.1%	40.8%
45 04	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქ. ნინოწმინდის წმიდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი	0.69	0.29	0.28	41.4%	98.7%
45 05	ა(ა)იპ – ბათუმის წმიდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	0.26	0.07	0.04	17.1%	61.1%
45 06	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	0.87	0.22	0.22	25.0%	99.9%
45 07	ა(ა)იპ – წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	0.23	0.06	0.02	8.4%	33.5%
45 08	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	1.95	0.49	0.28	14.2%	56.9%
45 09	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	1.81	0.71	0.62	34.3%	87.1%

45 10	ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	0.10	0.03	0.02	18.9%	63.1%
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	0.80	0.40	0.40	50.0%	100.0%
45 12	ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	0.50	0.31	0.25	50.9%	82.1%
45 13	ა(ა)იპ – ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	0.65	0.35	0.34	52.7%	98.4%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	7.00	1.40	0.23	3.3%	16.5%
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	5.73	1.45	0.39	6.8%	26.9%
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	4.85	1.19	0.14	2.9%	11.7%
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4.25	1.10	0.33	7.9%	30.5%
49 01	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1.30	0.35	0.07	5.4%	20.5%
49 02	საქართველოს კულტურის პალატა	0.23	0.06	0.02	8.5%	33.5%
50 01	სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	0.83	0.21	0.05	5.9%	23.2%
50 02	რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება	4.50	1.25	1.15	25.6%	92.0%
51 00	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	8.00	2.25	0.38	4.8%	17.0%
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	0.50	0.13	0.04	7.3%	29.0%
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	0.50	0.14	0.02	3.9%	14.3%
54 01	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს აპარატი	1.68	0.43	0.07	4.3%	17.0%
54 02	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	3.33	0.46	0.09	2.7%	19.8%
55 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	3.20	0.88	0.13	4.0%	14.6%
56 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	1,350.00	316.80	134.91	10.0%	42.6%
56 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	416.00	120.00	66.78	16.1%	55.7%
56 03	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	10.00	0.00	0.00	0.0%	
56 04	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	131.00	17.00	6.74	5.1%	39.7%
56 05	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	50.00	10.00	0.00	0.0%	0.0%
56 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	20.00	0.60	0.06	0.3%	9.9%
56 07	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	350.00	40.00	0.00	0.0%	0.0%
56 08	მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	20.00	0.50	0.00	0.0%	0.0%
56 09	საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	0.20	0.05	0.00	1.4%	5.6%
56 10	საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება	0.70	0.00	0.00	0.0%	
56 11	დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება	200.00	50.00	30.00	15.0%	60.0%
56 12	საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა	13.00	0.50	0.00	0.0%	0.0%
56 13	დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები	205.90	35.25	0.00	0.0%	0.0%
58 00	სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი			0.12		